საგარეო ვაჭრობა, I კვარტალი 2019

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

Issue #111/ 04.06.2019

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში საინტერესო ტენდენციები დაფიქსირდა. 2019 წლის იანვარი-მარტის პერიოდში საქართველო მსოფლიოს 121 ქვეყანასთან ვაჭრობდა. მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოცემულ პერიოდში, წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, საქართველოს ექსპორტი - გაზრდილი, ხოლო იმპორტი შემცირებულია. ქვეყნების მიხედვით, ექსპორტის მოცულობა ყველაზე მეტად რუსეთში გაიზარდა, ხოლო იმპორტის მოცულობა ყველაზე მეტად საფრანგეთიდან შემცირდა.

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული მხოლოდ 0.4%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2019 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ექსპორტმა 0.8 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 12.8%-ით აღემატება 2018 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ასევე, 2019 წლის პირველ კვარტალში, იმპორტმა 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4%-იანი კლებაა 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

პირველი კვარტლის მონაცემების გაანალიზებით, 2015 წლის იანვარი-მარტის შემდეგ, 2019 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ექსპორტმა ყველაზე მაღალ წილს მიაღწია მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში და შეადგინა 32.6%.

2017 წლიდან მოყოლებული, ყოველი წლის პირველ კვარტალში, ექსპორტი, იმპორტთან შედარებით ყოველთვის უფრო მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება. ამასთანავე, 2017 წლიდან მოყოლებული, ყოველი წლის პირველ კვარტალში, ექსპორტი და იმპორტი დადებით ზრდის ტემპს ინარჩუნებდა, გამონაკლისს 2019 წლის პირველი კვარტალი წარმოადგენს, როდესაც იმპორტი 4%-ით შემცირდა.

საქართველოს ექსპორტი და იმპორტი,
I კვარტალი, 2015-2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი,
I კვარტალი, 2015-2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სავაჭრო ბალანსმა -1.17 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული, 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.18 მლრდ აშშ დოლარით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

2019 წლის პირველ კვარტალში, ქვეყნების რაოდენობამ, რომელთანაც საქართველოს სავაჭრო ბალანსი დადებითი იყო, 34 შეადგინა, რაც 17.2%-ით (5 ქვეყანა) გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 87 ქვეყანასთან, 2018 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული 94 ქვეყანას შეადგენდა.

საქართველოს ექსპორტი და იმპორტი ქვეყნების მიხედვით,
I კვარტალი, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ძირითადი საექსპორტო პარტნიორები არიან რუსეთი (16.4%), აზერბაიჯანი (10.3%) და ბულგარეთი (8.2%). ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის პირველ კვარტალში, 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ექსპორტის მოცულობა ყველაზე მეტად რუსეთსა და უკრაინაში გაიზარდა, შესაბამისად 37.8% და 98.2%-ით.

საქართველოს ძირითადი საიმპორტო პარტნიორები არიან თურქეთი (16.0%), ჩინეთი (11.1%) და რუსეთი (9.6%). ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის პირველ კვარტალში, 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, იმპორტის მოცულობა ყველაზე მეტად საფრანგეთიდან და უკრაინიდან შემცირდა, შესაბამისად 60.1% და 30.5%-ით. უკრაინიდან იმპორტი უმეტესად შემცირებულია სიგარეტების იმპორტის შემცირების გამო, ხოლო საფრანგეთიდან ერთჯერადი ხასიათის კომპონენტის კლების შედეგად.

2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ექსპორტის 74% კონცენტრირებულია ათ ძირითად საექსპორტო პარტნიორთან, რაც 2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 8 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოს იმპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ აღემატება ექსპორტისას და ძირითადი ათი საიმპორტო პარტნიორი მთლიანი იმპორტის 67%-ს შეადგენს, რაც 2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 3 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

საინტერესოა, რომ ევროკავშირის ორი ქვეყანა, ბულგარეთი და რუმინეთი, უმსხვილეს ათ საექსპორტო პარტნიორთა სიაში გვხდება.

ძირითადი ექსპორტირებული საქონელი,
I კვარტალი, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი იმპორტირებული საქონელი,
I კვარტალი, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ათმა უმსხვილესმა საექსპორტო საქონელმა მთლიანი ექსპორტის 67.8% შეადგინა. საქართველო მეტადაა დამოკიდებული იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად იმპორტის სტრუქტურა მეტად დივერსიფიცირებულია. ათმა უმსხვილესმა საიმპორტო საქონელმა მთლიანი იმპორტის 37% შეადგინა.

საინტერესოა, რომ ოთხი ტიპის საქონელი გვხვდება როგორც უმსხვილესი საექსპორტო, ისე საიმპორტო საქონლის სიაში. კერძოდ, ავტომობილები, სპილენძი, სამკურნალო საშუალებები და თამბაქოს პროდუქცია. ნაწილობრივ, ეს შეიძლება აიხსნას ამ ოთხი ტიპის საქონლის რეექსპორტით.

2019 წლის I კვარტალში, 2018 წლის I კვარტალთან შედარებით, სასაქონლო პოზიციების მიხედვით, ყველაზე მეტად შემცირებულია შერეული საქონლის (98.1%-ით) და ნავთობის და ნავთობპროდუქტების (19.5%-ით) იმპორტი.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა
ტრანსპორტირების სახეების მიხედვით , I კვარტალი,
2016-2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას (ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში), რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოიცავს. ამასთანავე, 2017 წლის მაისში ხელი მოეწერა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (ძალაში შევიდა 2018 წლის იანვარში). შესაბამისად, ჩინეთი და ევროკავშირი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები გახდნენ.

2019 წლის პირველ კვარტალში, 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დაფიქსირდა 26.8%-იანი ზრდა (72.6% ექსპორტში, 21.7% იმპორტში) ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვაში, ხოლო 13.5%-იანი კლება (-6.4% ექსპორტში, -15.9% იმპორტში) ევროკავშირთან. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან სეზონურობით ხასიათდება და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში (2014-2018) გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სავაჭრო ბრუნვა წლის მეორე ნახევარში, პირველ პირველ ნახევართან შედარებით იზრდება.

საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტი მთლიან საგარეო ვაჭრობაში ყველაზე დიდ წილს იკავებს (უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში (I კვარტლების მდგომარეობით) საშუალოდ 40% და 37% შესაბამისად). ამავე პერიოდში, საჰაერო ტრანსპორტის წილი მთლიან საგარეო ვაჭრობაში საშუალოდ 9.%-ს შეადგენს, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტი - 7%-ს.

2019 წლის პირველ კვარტალში, 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით განხორციელებული სავაჭრო ბრუნვის მოცულობა შესაბამისად 22.3% და 18.9%-ით შემცირდა, მაშინ როდესაც საავტომობილოს და საზღვაო ტრანსპორტით განხორციელებული შესაბამისად 0.8% და 10.3%-ით გაიზარდა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ჩინეთთან და
ევროკავშირთან, I კვარტალი, 2015-2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2014	2015	2016	2017	2018
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16507.8	13988.1	14377.9	15086.5	16207.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4438.3	3754.9	3857.3	4046.8	4345.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%*
ინფლაცია	3.1%	4.0%	2.1%	6.0%	2.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,817.7	1,665.6	1,565.8	1,894.5	1,232.4*
უმუშევრობის დონე (%)	14.6%	14.1%	14.0%	13.9%	12.7%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4,199.8	4,314.9	4,515.7	5,177.4	5,434
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	20.2%	21.0%	22.3%	-

*წინასწარი მონაცემები